www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

კულტურის სტატისტიკის მაჩვენებლები

2023 წელი

14.06.2024
www.geostat.ge

14.06.2024

კულტურის სტატისტიკა
2023 წელი

თეატრების სტატისტიკური გამოკვლევა

2023 წლის მონაცემებით, საქართველოში 53 პროფესიული თეატრი ფუნქციონირებდა, აქედან, 42 ერთეული იყო დრამის, მუსიკალური კომედიისა და მინიატურების, 7 - თოჯინების, 2 - ოპერისა და ბალეტის, ხოლო 2 - ბავშვთა და მოზარდმაყურებელთა თეატრი. თეატრების უმრავლესობა (52.8 პროცენტი) ფუნქციონირებდა ქ. თბილისში, 15.1 პროცენტი - იმერეთში, ხოლო დარჩენილი 32.1 პროცენტი სხვა რეგიონებში.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პროფესიული თეატრების განაწილება თეატრის ტიპის მიხედვით, 2023 წელს.

დიაგრამა №1

თეატრების განაწილება თეატრის ტიპის მიხედვით, 2023 წელს



14.06.2024

2023 წელს ქვეყანაში 4.9 ათასი ღონისძიება ჩატარდა, აქედან 231 იყო გასვლითი (ქალაქის გარეთ). საზღვარგარეთ ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობამ 156 ერთეული შეადგინა.

2023 წელს ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით 23.4 პროცენტით გაიზარდა და 4 681 ერთეული შეადგინა. სპექტაკლების ნახევარზე მეტი (65.8 პროცენტი) ქ. თბილისში ჩატარდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2022-2023 წლებში.

დიაგრამა №2

ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2022-2023 წლებში
(ერთეული)



14.06.2024

2023 წელს ღონისძიებებზე დამსწრე მაყურებელთა საერთო რიცხოვნობა, წინა წელთან შედარებით 1.4-ჯერ გაიზარდა და 772.0 ათასი შეადგინა. მაყურებელთა დასწრების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა ქ. თბილისი (71.3 პროცენტით), ხოლო მეორე ადგილზეა იმერეთი (7.6 პროცენტით).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მაყურებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2022-2023 წლებში.

დიაგრამა №3

მაყურებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2022-2023 წლებში

(ათასი კაცი)



მუზეუმების სტატისტიკური გამოკვლევა

2023 წელს საქართველოში 257 მუზეუმი და მუზეუმ-ნაკრძალი ფუნქციონირებდა, საიდანაც 101 ერთეული წარმოადგენს მემორიალურ მუზეუმს, 73 ერთეული - ისტორიულს (მხარეთმცოდნეობის), 23 ერთეული - ხელოვნების, 13 ერთეული - მუზეუმ-ნაკრძალს, 2 ერთეული - ლიტერატურულს, ხოლო 45 - სხვა სახის მუზეუმს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების განაწილება ტიპების მიხედვით, 2023 წელს.

დიაგრამა №4

მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების განაწილება 2023 წელს



14.06.2024

2023 წელს ყველაზე მეტი მუზეუმი ფუნქციონირებდა ქ. თბილისში (23.0%). ამ მაჩვენებლით მეორე და მესამე ადგილებზე იმერეთის (15.6%) და კახეთის (14.4%) რეგიონებია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2023 წელს.

დიაგრამა №5

მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2023 წელს
(ერთეული)



14.06.2024

2023 წელს მუზეუმებში დამთვალიერებელთა რიცხოვნობა, წინა წელთან შედარებით 22.9 პროცენტით გაიზარდა და 2.1 მლნ. კაცი შეადგინა. საშუალოდ ერთ მუზეუმზე 8.1 ათასი დამთვალიერებელი მოდის.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დამთვალიერებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2022-2023 წლებში.

დიაგრამა №6

დამთვალიერებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2022-2023 წლებში

(ათასი კაცი)



2023 წელს მუზეუმებში ექსკურსიების რაოდენობა 18.7 პროცენტით გაიზარდა და 46.4 ათასი შეადგინა, ხოლო გამოფენათა რაოდენობა - 7.3 პროცენტით გაიზარდა და 916 ერთეული იყო.

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge